



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,  
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030154343033721

№ 01-182/თ

02 / ივნისი / 2021 წ.

**„COVID-19-ის საექვო დიაგნოზის მქონე ბენეფიციარებისათვის COVID-19-ის სპეციფიკური ტესტირების ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 1 იანვრის N01-1/თ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

## ბრძანებ:

1. „COVID-19-ის საექვო დიაგნოზის მქონე ბენეფიციარებისათვის COVID-19-ის სპეციფიკური ტესტირების ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 1 იანვრის N01-1/თ ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების:

### ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. 2021 წლის 1 ივლისამდე კორონავირუსის განმსაზღვრელი ანტიგენის სწრაფი ტესტით ამბულატორიული ტესტირებისადმი საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, სერვისის მიმწოდებლად განისაზღვროს „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების ფარგლებში გეგმური და გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრირებული სამედიცინო დაწესებულებები, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრები/სამსახურები, ლაბორატორიული სერვისის მიმწოდებლები და სხვა სამედიცინო დაწესებულებები, რომლებიც დარეგისტრირებულნი არიან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში სწრაფი მარტივი ტესტირების სერვისის მიმწოდებლებად.“;

### ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. 2021 წლის 1 ივლისამდე კორონავირუსის განმსაზღვრელი ანტიგენის სწრაფი ტესტით ამბულატორიულ ტესტირებას დაქვემდებარებულ დამატებით გეგმურ ჯგუფებად განისაზღვროს:

ა) ტაქსის მძღოლები ყოველ 14 დღეში ერთხელ;

ბ) ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ სპეციალურად მონყობილ ტესტირების სივრცეებში თვითდინებით მისული პირები.“.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანვე და ვრცელდება 2021 წლის 1 ივნისიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

